პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 6 აგვისტო, 1943 წ. № 165 (6790). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

გენერალ-პოლკოვნიკ პოპოვს
გენერალ-პოლკოვნიკ სოკოლოვსკის
არმიის გენერალ როკოსოვსკის
არმიის გენერალ ვასილევს
გენერალ-პოლკოვნიკ კონევს

დღეს, 5 აგვისტოს, ბრიანსკის ფრონტის ჯარებმა ფლანგებიდან დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ჯარების დახმარებით გაფანტულ ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქი ორიოლი.

დღესვე სტეპნოისა და ვორონეჟის ფრონტების ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი ბელგოროდი.

ერთი თვის წინათ, 5 ივლისს, გერმანელებმა დაიწყეს თავისი საზაფხულო შემოტევა ორიოლისა და ბელგოროდის რაიონებიდან, რათა გარშემორტყმოდნენ და მოესპოთ კურსკის შვერილზე მყოფი ჩვენი ჯარები და დაეკავებინათ კურსკი.

მოიგერიეს რა მოწინააღმდეგის ყველა ცდა გამოეჭრილიყო კურსკისაკენ ორიოლისა და ბელგოროდის მხრივ, ჩვენი ჯარები თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და 5 აგვისტოს, სწორედ ერთი თვის შემდეგ გერმანელთა ივლისის შემოტევის დაწყებიდან, დაიკავეს ორიოლი და ბელგოროდი.

ამით გამოაშკარავებულია გერმანელთა ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა ჯარებს ზაფხულში არ შეუძლიათ აწარმოონ წარმატებითი შეტევა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მე-5, 129-ე, 380-ე მსროლელ დივიზიებს, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ ქალაქ ორიოლში და გაათავისუფლეს იგი, მიეკუთვნოთ „ორიოლის“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ: ორიოლის მე-5 მსროლელი დივიზია, ორიოლის 129-ე მსროლელი დივიზია, ორიოლის 380-ე მსროლელი დივიზია.

გვარდიის 89-ე და 305-ე მსროლელ დივიზიებს, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ ქალაქ ბელგოროდში და გაათავისუფლეს იგი, მიეკუთვნოთ „ბელგოროდის“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ: გვარდიის ბელგოროდის 89-ე მსროლელი დივიზია, ბელგოროდის 305-ე მსროლელი დივიზია.

დღეს, 5 აგვისტოს, 24 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სალუტს მისცემს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ორიოლი და ბელგოროდი, 120 ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო შეტევითი მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ოპერაციებში ორიოლისა და ბელგოროდის განსათავისუფლებლად.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 5 აგვისტო.

მექსიკის ელჩმა ბ-ნმა ლ. კინტანილამ რწმუნებულობის სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. კალინინს

4 აგვისტოს, დღის 12 საათზე, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო მექსიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ლ. კინტანილა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნებულობის სიგელები.

ბ-ნ ლ. კინტანილას ახლდნენ: საელჩოს ხანგრძლივ ატაშე პოდპოლკოვნიკი რ. კალდერონ აგილარი, საელჩოს მე-2 მდივანი ბ-ნი ე. ესპინოსა-პრიეტო და სსრ კავშირში მექსიკის საელჩოს სხვა წევრები, რომლებიც ელჩმა წარუდგინა ამხ. მ. ი. კალინინს.

რწმუნებულობის სიგელების გადაცემისას დაესწრნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ამერიკული ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ზარუბინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

ამხ. მ. ი. კალინინს საუბარი ჰქონდა ბ-ნ ლ. კინტანილასთან რწმუნებულობის სიგელების გადაცემის შემდეგ.

ბრძანებუღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ბაუკიჩეთის რაიონის სოფელ ვალდჯეიმის გადარქმევის შესახებ

დაემაყოფილდეს სოფ. ვალდჯეიმის ამხანაგ ლ. ბ. ბერიას საბჭოების კოლმეურნეობის წევრთა და მშრომელთა დეპუტატების ბაუკიჩეთის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის შუამდგომლობა და სოფ. ვალდჯეიმს ეწოდოს სოფ. კიროვისი, ხოლო ვალდჯეიმის სასოფლო საბჭოს კიროვისის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 5 აგვისტო, ქ. თბილისი.

ივლისის საწარმოო გეგმების შესრულება

ივლისის საწარმოო გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ და გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს შემდეგმა საწარმოებმა:

თბილისის პურის მეორე ჯარხანამ (დირექტორი გრიგორიანი, პარტიბიუროს მდივანი ორუთინოვა) ივლისის საწარმოო დავალება 102,1 პროცენტით შეასრულა და ტყვმის ზეგით ქვეყანას მისცა დიდძალი პროდუქცია.

თბილისის სტალინის სახელობის ფეხსაცმელის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა ივლისში უკეთ იმუშავა, ვიდრე წინა თვეში. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, ხოლო სპეციალური დაკვეთის მიხედვით ივლისის გეგმა შესრულებულია 102,2 პროცენტით (ფაბრიკის დირექტორი ამხ. ს. პეტროსიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. ჯაშიაშვილი).

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ ივლისში ახალი გამარჯვება მოიპოვა. ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი შ. სიმონიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ლასენკო, მთავარი ინჟინერი ს. იაკობაშვილი) ივლისის საწარმოო გეგმა 123,1 პროცენტით შეასრულა. საამქროებს შორის დაწინაურდნენ სამღებრო-საპარტეტო (უფროსი ამხ. ვ. ჭანიშვილი) და კამვოლური (უფროსი ამხ. ს. ნოვიკი) საამქროები.

თბილისის ხორცკომბინატმა უფრო მეტი წარმატებით იმუშავა ივლისში, ვიდრე მუშობდა ივნისში. ივლისში კომბინატის კოლექტივმა თვიური საწარმოო დავალება 109,7 პროცენტით შეასრულა. ფინანსიურებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს — ტყავ-სათბურის საამქრომ, რომელმაც ივლისის გეგმა 280,6 პროცენტით შეასრულა, ცხვრის ტყავის ქურქების გამომყვანმა საამქრომ (თვიური დავალება 222,4 პროც. შეასრულა), რქა-ძვლის ნაწარმთა, საძეხვე და სასაკლაო საამქროებმა.

თბილისის ტყავის პირველმა ჭარხანამ (დირექტორი ტ. თეოდორაძე, პარტორგანიზაციის მდივანი რ. ვალიანი) ივლისში კარგად იმუშავა და საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური დავალება 117,7 პროცენტით შეასრულა.

ამ ჭარხნის კოლექტივმა, სადაც დირექტორად არის ამხ. შამათავა, ივლისში ახალი საწარმოო წარმატება მოიპოვა და თვიური საწარმოო დავალება 119,4 პროცენტით შეასრულა. კარგად მუშაობდნენ სტახანოველი მუშები—ამხ. გურგენაძე, ვედელი, აკოფოვი და ჰუსეინ ალიევი, რომლებიც ყოველდღიურად იძლეოდნენ 2-3 ნორმას.

თბილისის საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკამ“ (დირექტორი ამხ. სუსანა თათაბაგოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ნინო ლომაშვილი) ივლისის საწარმოო დავალება შეასრულა 115,8 პროცენტით.

გეგმას ყველა ცვლა და უბანი ასრულებს

პიათიორა („კომუნისტის“ სა.კორ.). ჭიათურის მარგანეცმრეწველების ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს (დირექტორი ამხ. დ. ერგეშელიძე) მარგანეცის ამოღების ივლისის გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულა.

კარგად მუშაობს მეორე უბანი, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი ამხ. ს. ყალაძე ხელმძღვანელობს. ივლისის დავალება აქ 105,6 პროცენტით შესრულდა. ივლისის გეგმები 106 პროცენტით შეასრულეს ამ. ჭრელაშვილისა და გ. ჯიბლაძის ცვლებმა.

ლენინის ორდენოსანმა პლ. ბოკოველმა ივლისში ტეგმის გადამეტებით ამოიღო 188 ტონა მარგანეცი, ორდენოსანმა პ. მირიტაძემ —142 ტონა, გაფრინდაშვილმა—205 ტონა, კ. თაბაგარმა—199 ტონა.

პ. ჭიოკაძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
5 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

5 აგვისტოს ჩვენმა ჯარებმა, ქუჩებში გაჩაღებული გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი—ორიოლი. ორიოლის ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

იმავე 5 აგვისტოს ჩვენმა შემტევმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი ბელგოროდი.

ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ბაბარიკინის, გენერალ-ლეიტენანტ ბელოვის, გენერალ-ლეიტენანტ ბოგრანოვის, გენერალ-ლეიტენანტ კოლესნიჩის, გენერალ-ლეიტენანტ ოლენიუკის, გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-ლეიტენანტ ბალანინის, გენერალ-ლეიტენანტ რიბალკოს, გენერალ-ლეიტენანტ ჩისტიაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ჟადოვის, გენერალ-მაიორ მანაგაროვის, გენერალ-ლეიტენანტ ტრუფანოვის, გენერალ-ლეიტენანტ ფუმინოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კატუკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ როტმისტროვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბოგდანოვის ჯარებმა, ავიაციის მარშალ ბოლდოვინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ნაუმენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რუდენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბოგრინოვის საავიაციო შენაერთებმა.

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში, ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. დილით, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, 5 შენაერთის ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე და დაიკავეს გერმანელთა სანგრების პირველი ხაზი. მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი და 400-მდე ჰიტლერელი. ჩვენი მფრინავები ბომბავდნენ მტრის სარკინიგზო ეშელონებს, სატანკო და ქვეითი ჯარის ჯალონებს. დაბომბვის შედეგად დამტვრეულია რამდენიმე სარკინიგზო შემადგენლობა. მოსპობილი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის დიდძალი ტანკი და 150-მდე ავტომობილი.

* * *

ოზიუმის სამხრეთით გერმანელებმა რეზერვები მოიშველიეს და ორი დღის განმავლობაში ცდილობდნენ დაბრუნებინათ მათთვის მიერ დაკარგული პოზიციები. ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის 23 კონტრიერიში. ამ ბრძოლებში გაწყვეტილია სულ მცირე გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკი, დაზიანებული და მოსპობილია მტრის მრავალი ტანკი და ქვემეხი. საბჭოთა მფრინავებმა აფეთქეს ორი საწყობი საწვავიანად და საომარი მასალის რამდენიმე საწყობი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა სროლა აუტეხეს მტრის, თავდაცვითს ნაგებობებს და მასლობელ ზურგს. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია ჯარმანელთა 29 ძელმწერი საცეცხლე წერტილი, 4 სათვალთვალო პუნქტი, აფეთქებულია საომარი მასალის 2 საწყობი და ჩახშობილია მტრის რამდენიმე საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 12 თვითმფრინავი.

* * *

როვნოს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 28 ივლისს უეცრად მიიტანა იერიში მტრის გარნიზონზე, რომელიც განლაგებული იყო დიდ დასახლებულ პუნქტში. გაჩაღებულ ბრძოლაში გერმანელთა გარნიზონის მეტი ნაწილი მოსპობილ იქნა. ცოცხლად გადარჩენილი ჰიტლერელები გაიქცნენ. მოკლულია 130 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ბურგომისტრი და ჟანდარმერიის უფროსი. პარტიზანებმა საპატიმროდან გაათავისუფლეს 80 საბჭოთა მოქალაქე. ხელთ იგდეს დავლა: 3 ტყვიამფრქვევი, 28 ავტომატი, 100-ზე მეტი შაშხანა, 13 რადიომიმღები, სურსათის საწყობი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საწყობი. ჩერნიგოვის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 26 ივლისს ბრძოლა გაუმართა მტრის სადამსჯელო ექსპედიციას. ერთ-ერთ ტაკეტაში პარტიზანებმა მოსპეს 106 უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წაყვანილია ტყვეები. ხელთ იგდეს 5 ტყვიამფრქვევი, 70 შაშხანა და ავტომატი, 300 გრანატი, 25.000 ვაზნა და სხვა დავლა.

* * *

მტრის წყალქვეშა ფლოტის დიდ ზარალთან დაკავშირებით, გერმანელთა ამ წყალქვეშა ნავების ეკიპაჟები, რომელთაც ბაზები ნორვეგიაში აქვთ, ყოველწაირად ერიდებიან საბრძოლო დავალებათა შესრულებას. ზოგიერთი ეკიპაჟი განზრახ აფუჭებს ხელსაწყოებს, მატერიალურ ნაწილს და მწყობრიდან გამოჰყავს ნავები. ტრონჰეიმში ერთ წყალქვეშა ნავს ისეთი სერიოზული ზიანი მიაყენეს, რომ იგი ჩაიძირა. სტავანგერის მახლობლად ერთი წყალქვეშა ნავის ეკიპაჟმა უარი სთქვა გასვლოდა ზღვაში. ეკიპაჟი მეთაურიანად დაპატიმრებულია.

მოსკოვი საღუმლ აძღევს მამაც ჯარებს, რომლებმაც ორიოლი და ბელგოროდი გაათავისუფლეს

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანების თანახმად, გუშინ, 5 აგვისტოს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა—მოსკოვმა სალუტი მისცა ბრიანსკის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ჯარების მიერ ფლანგებიდან დახმარებით გათავისუფლეს ქალაქი ორიოლი, და სტეპნოისა და ვორონეჟის ფრონტების ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი ბელგოროდი.

სულ 24 საათზე მიცემულ იქნა 120 ქვემეხის პირველი ზალპი. სულ მიცემულ იქნა 12 ზალპი, რომლებიც ხდებოდა ყოველ 30 წამში 6 წუთის განმავლობაში (საკადესი).

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს-ბრიანსკს, ნიკიტოვკას, იასინოვაჯეიას, ილოვაისკაიას, სადგურ მგას და მოწინააღმდეგის აეროდრომებს

3 აგვისტოს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს—ბრიანსკს, ნიკიტოვკას, იასინოვატაიას, ილოვაისკაიას და სადგურ მგას. დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის ეშელონები, სამხედრო საწყობები, თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა. ბომბების პირდაპირი მოხვედრით დამტვრეულია რამდენიმე სარკინიგზო შემადგენლობა. მრავალ ადგილს გაჩნდა ხანძარი და მოხდა ძლიერი აფეთქებანი.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა აგრეთვე აეროდრომები, რომლებზეც თავმოყრილი იყო გერმანელთა თვითმფრინავები. დაბომბვის შედეგად მოსპობილი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის თვითმფრინავების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

გერმანელთა მხეცობა კაუნასში

მოქმედი არმია, 4 აგვისტო (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანიის არმიის ჯარისკაცები, რომლებიც ტყვედ იქნენ წამოყვანილნი ილმენის ტბის სამხრეთით მდებარე რაიონში, იუწყებიან გერმანელი ოკუპანტების მიერ კაუნასში ჩადენილი მხეცობის ახალ ფაქტებს.

გერმანიის ქვეითი დივიზიის ობერ-ეფრეიტორი კურტი აცუადეს:

— როცა ვიყავი ლიტვაში და, კერძოდ, თვით კაუნასში, მე მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი დახვრეტის სურათებს ვხედავდი.

ამ ცოტა ხნის წინათ კაუნასში ვიყავ უცნობმა პირმა მოჭკლა გერმანელი ოფიცერი. „სს“-ელებმა მორაკეს რამდენიმე ათეული მოქალაქე, წაიყვანეს ქალაქგარეთ, აიძულეს ორმოები გაეთხარათ, შემდეგ კი ყველანი დახვრიტეს. როცა საღამოს ამ ადგილს ჩავუარე, ვნახე, როგორ ინძრეოდა ორმოებს ზედით მიწა, რომელიც „სს“-ელებმა თავიანთ მსხვერპლთ მიაყარეს.

ჩვენს მხარეზე გადმოსული ერთი გერმანელი ჯარისკაცის ჩვენებით, კაუნასში სწარმოებს საბჭოთა სამხედრო ტყვეების ორგანიზებული ელეტა. ქალაქის განაპირა უბანში მოთავსებულია ბანაკი. ამ ბანაკში ადამიანები მიწასქვეშ არიან დამწყვდეულნი. მათი საშველი ასი გრამი პურისა და მერქნის ქერქისაგან შესდგება. ტყვეებს რუზინის ჯოხს სცემენ. ბევრი მათგანი ვერ იტანს შიმშილს, ავადმყოფობას, წამებას, და კვდება.

ბანაკს შემოვლებული აქვს მაღალი და სქელი ქვის კედელი, რომელსაც ზევით დატანებული აქვს მავთულლობური. რამდენიმე ტყვიამფრქვევის ლულა მიმართულია ეზოსაკენ.

ერთი სამზედრო ტყვე, რომელიც ცდილობდა ბანაკიდან გაქცეულიყო, გერმანელებმა შეიპყრეს და დაიყენეს კოშკურაზე ტყვიამფრქვევის წინ „სმენა“ მდგომარეობაში. ასე იდგა ის მთელი დღე-ღამის განმავლობაში და შემდეგ მოკლულ იქნა.

ი. დენისოვი

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება კუნძულ სიცილიაზე

ლონდონი, 5 აგვისტო (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კატანია.

რეიტერის საგენტი გადმოგვცემს ალეირიელ რადიოს ცნობას, რომ ინგლისისა და კანადის ჯარები განაგრძობენ წინსვლას. მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი განუწყვეტლივ უშენს გზატკეცილსა და რკინიგზას, რომლებიც აერთებენ ჯერ კიდევ მტრის ხელში მყოფ ორ ნავსადგურს.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 5 აგვისტო (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 4 აგვისტოს მთელი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაცია ბომბავდა მტრის საწყობებსა და კომუნიკაციებს სიცილიაზე.

3 აგვისტოს ღამით მოკავშირეთა ღამის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ბარინა-დიაკატანძაროს და მარინა-პაოლოს (სამხრეთი იტალია) სარკინიგზო კომუნიკაციებზე. 4 აგვისტოს დღისით ამავე ობიექტებზე იერიში მიიტანეს საშუალო ბომბდამშენებმა. მოკავშირეთა ავიაციამ თავს დაესხა აგრეთვე დოკებსა და წყალქვეშა ნავებს ბაზებს ნეაპოლში. ამ ობიექტებს დიდძალი ბომბი დაყარეს.

4 აგვისტოს ღამით მოკავშირეთა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მესინაზე და სარკინიგზო კომუნიკაციებზე ბატიპალიაში.

იმავე ღამეს ინგლისის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის ტორპედოსან კატერებზე პა-დე-კალეს სრუტეში. ჩაძირულია სამი კატერი.

ცნობა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა და მათ შიერ სსრ კავშირის მოქალაქეებისა, კოლმეურნეობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სახელმწიფო სანარმოებისა და დაწესებულებებისადმი მიყენებული ზარალის დამდგენი და გამომძიებელი საგანგებო სახელმწიფო კომისიისა

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მიერ წვავრობაულის მაკარიში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ

გერმანელ ოკუპანტთა დანაშაულებრივი მოქმედებანი სტავროპოლში, გეორგიევსკში, კისლოვოდსკში, ესენტუკში, მინერალნიე ვოდში, ეელეზნოვოდსკსა და ტებერდაში დამოწმებულია კომისიის აქტებით, დაზარალებულთა განცხადებებით, მოწმეთა ჩვენებებით, სამედიცინო ექსპერტთა დასკვნებით, დოკუმენტალური მასალებით, აგრეთვე მათ ადგილსამყოფელთა ადგილებში ნაპოვნი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნამუშევარი გაზით. ახლანდელ ქალაქ სტავროპოლში გესტაპოს რაზმეულმა ფაშისტ ოკუპანტთა ბანდიტებმა ოფიცერ ბ. ბ. ბ.

ცნობა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა და მათ მიერ სსრ კავშირის მოქალაქეებისა, კოლმეურნეობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სახელმწიფო სანარმოებისა და დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალის დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიისა

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მიერ სტავროპოლის მხარეში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ

(დასასრული)

მას დაჰკითხავდნენ და სცემდნენ მხოლოდ ღამით. დასაკითხავად მიჰყავდათ ცალკე საკანში, სადაც იყო წამების სპეციალური მოწყობილობა დგუშებიანი ჯაჭვით ხელებისა და ფეხების მისამაგრებლად. ეს ჯაჭვები დამაგრებული იყო საკნის ცემენტის იატაკზე. დაპატიმრებულთ წინასწარ გაიშიშვლებდნენ, იატაკზე დაწვენდნენ, შემდეგ ხელებსა და ფეხებში ჯაჭვს შეაბამდნენ. სწორედ ასეთ წამებას აყენებდნენ მოქალაქე კოვალიუკს. მიჯაჭვულს მას სრულიად არ შეეძლო მოძრაობა და იწვა თავდაღმა, ასეთ მდგომარეობაში სცემდნენ მას რეზინის ჯოხებს 16 დღის განმავლობაში.

გარდა ასეთი არაადამიანური წამებისა, გესტაპოელები შემდეგს წამებასაც აყენებდნენ. მიჯაჭვულთ ზურგზე დაადებდნენ ფართო ფიცარს და ამ ფიცარს ზემოდან მძლავრად სცემდნენ მძიმე გირებს, რის შედეგადაც დაპატიმრებულს სისხლი სდიოდა პირში, ცხვირსა და ყურებში, და იგი გრძნობას კარგავდა.

წამების საკანი გესტაპოში იმგვარად იყო მოწყობილი, რომ როდესაც ერთ დაპატიმრებულს აწამებდნენ, დანარჩენი დაპატიმრებულნი, რომლებიც მეზობელ საკანში ისხდნენ და მომავალ ანგარიშის გასწორებას ელოდნენ, ხედავდნენ ამ ტანჯვა-წამებას.

წამების შემდეგ გონებადაკარგულ დაპატიმრებულს გაზე მიაგდებდნენ, და შემდეგს მსხვერპლს გესტაპოელები ძალით მიათრევდნენ მეზობელი საკნიდან. კვლავ მიჯაჭვავდნენ და იმავე გზით განაგრძობდნენ წამებას. წამების საკნები მუდამ გასისხლიანებული იყო. დაფაც, რომელსაც ზურგზე ადებდნენ, მთლად სისხლით იყო მოსვრილი, რეზინის ჯოხები, რომლებსაც დაპატიმრებულთ სცემდნენ, სისხლისაგან გაწითლებული იყო.

დასახვრეტად განწირულ დაპატიმრებულ საბჭოთა ადამიანებს, უსაშინელესი ტანჯვა-წამების შემდეგ, მანქანაში შერეკავდნენ, ქალაქგარეთ გაჰყავდათ და ხვრეტდნენ.

გესტაპოს დილეგიდან წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული ანასტასია ოსიპოვნა-ასული სუპრუნი, 1908 წელს დაბადებული, მცხოვრები ქალაქ პიატიგორსკში, ვლადიმირის ქუჩაზე, № 3, დაპატიმრებული და მოთავსებული იყო გესტაპოს ერთ-ერთ საკანში; მალე მასთან საკანში დასაკითხავად გამოცხადდა გესტაპოს უფროსის მოადგილე ობერ-ლეიტენანტი ფიშერი თარჯიმნიანად. თარჯიმანმა წარადგინა მისცა ქალს ტანი გაეხადა და სკამლოგინზე თავდაღმა დაწოლილიყო. მას შემდეგ, რაც ქალი სკამლოგინზე დაწვა, მას ჯალათმა ფიშერმა პირადად სცემა ხის ჯოხით, სანამ ქალმა გრძნობა არ დაკარგა.

ვერ მიაღწია რა იძულებითს ჩვენებას, თარჯიმანმა სუპრუნი გაიფრთხილა, რომ შემდეგში „არაგულწრფელი“ ჩვენებისათვის ყოველ დაკითხვაზე მას 25-ჯერ დაჰკრავენ ჯოხს და ცემით სიკვდილის პირას მიიყვანენ. შემდეგი დაკითხვების დროს მას აგრეთვე გრძნობის დაკარგვამდე სცემდა იგივე გესტაპოს ოფიცერი.

ბარბარე ივანეს-ასული ჩაიკა, 1912 წელს დაბადებული, მცხოვრები ძერჟინსკის ქუჩაზე, № 31. ბინა 3, გესტაპოს მიერ დაპატიმრების დროს გესტაპოს უფროს კაპიტან ვინცის მხრივ უმაგალითო სასტიკ წამებას განიცდიდა. აი რას ამბობს ამაზე ბ. ი. ჩაიკა:

„მე აბუჩად მიგდებდა და მაწამებდა გესტაპოს უფროსი გერმანელი კაპიტანი ვინცი. ერთხელ მან დაკითხვაზე გამომძიძა წამების საკანში. ამ საკანში ოთხი მაგიდა იყო, იატაკზე—ხის რიკულები და ორი წყლიანი ტაბტი, რომლებშიც ტყავის მათრახები ეწყო. ჭერზე ორი რგოლი იყო შიგ გაცმული თოკებით, რომლებზედაც დაპატიმრებულთ ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე წამების დროს. კაპიტან ვინცის ბრძანებით გესტაპოელებმა მაგიდაზე დამაწვინეს, მთელი ტანსაცმელი გამხადეს და ძლიერ მცემეს მათრახი. მცემეს ორჯერ. სულ 75 მათრახი დამკრეს, ჩამწყვიტეს თირკმელები და ჩამამტვრიეს 8 კბილი“.

ქალაქ პიატიგორსკში გერმანელი ხელისუფლები საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ ულეტას ეწეოდნენ.

ლერმონტოვის დუელის სამახსოვრო ადგილის მახლობლად, მაშუკის მთაზე, გადათხრილ იქნა 5 საფლავი, რომლებშიც 75 გვამი აღმოჩნდა.

კომკავშირის მინდორში, ქალაქ პიატიგორსკიდან 6 კილომეტრზე, მაშუკის მთის ძირას, 8 საფლავში ადმოჩენილია მხეცურად ნაწამები, დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეების 125 გვამი.

ბელაია რომაშკის რაიონში, კუზნეჩნის ქუჩაზე, თავლების პირდაპირ აღმოჩენილია 6 წითელარმიელის გვამი, რომლებიც გერმანელებმა 1942 წლის 10 აგვისტოს დახვრიტეს. ამავე რაიონში ქალაქის პირველი საავადმყოფოს მახლობლად ამოთხრილ იქნა სატანკო სასწავლებლის 16 კურსანტის გვამი. დადგენილია, რომ გერმანელებმა დახოცეს დაჭრილი კურსანტები.

სულ ამოვსილ ორმოებში პიატიგორსკის რაიონში აღმოჩენილია ნაწამები და დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეების 356 გვამი, მათს რიცხვში მამაკაცი—283, ქალი და ბავშვი—66. ეს ცნობები სრული როდია. ბევრი საფლავი ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი.

პიატიგორსკიდან 1942 წლის ოქტომბერში, ეგრეთ წოდებული „შრომის ბირჟის“ უფროსის, ოფიცერ ლანკეს ბრძანებით გერმანიის მონობაში საკატორღო სამუშაოზე ძალით გარეკილ იქნა 800 საბჭოთა მოქალაქე. გერმანიაში საბჭოთა მოქალაქეების ძალით გაგზავნას თან ახლდა აბუჩად ოგდება, ცემა და დახვრეტის მუქარა.

განსაკუთრებული სისასტიკე საბჭოთა მოქალაქეების მიმართ გერმანიაში მათი გარეკვის დროს გამოიჩინა პიატიგორსკის „შრომის ბირჟის“ უფროსმა, ოფიცერმა ლანკემ.

დადგენილია, რომ გერმანელმა ოკუპანტებმა დაუჯერებელი მხეცური სიძულვილით მოაწყვიტეს სისხლის ღვრა ქალაქ კისლოვოდსკის ებრაელ მოსახლეობაში. 1942 წლის 16 აგვისტოს ქალაქის ოკუპაციის მეორე დღეს გერმანელთა სარდლობამ, ქალაქ კისლოვოდსკის სამხედრო კომენდანტ პოლის და გესტაპოს უფროს ველბენის სახით, ქალაქის ებრაელ მოსახლეობას დაავალა დაუყოვნებლივ ჩაებარებინა გერმანელთა სარდლობისათვის ძვირფასეულობა: ოქრო, ბრილიანტი, ვერცხლი, ნოხები, ჭურჭელი, თეთრეული, ფეხსაცმელი და 100.000 მანეთი ნაღდ ფულად.

1942 წლის 18 აგვისტოს სამხედრო კომენდანტმა პოლმა გამოაცხადა მთელი ებრაელი მოსახლეობის რეგისტრაცია. განურჩევლად სქესისა და ასაკისა. რეგისტრაციის შემდეგ ებრაელი ეროვნების ყველა ჰირმ, დახვრეტის მუქარით, ებრძანა მკერდის მარჯვენა მხარეზე ეტარებინა განმასხვავებელი ნიშანი—ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

1942 წლის 7 სექტემბერს გამოქვეყნდა გერმანელთა კომენდანტურის განკარგულება № 12, რომლითაც ებრაელებს წინადადება ეძლეოდათ გამოცხადებულიყვნენ 9 სექტემბერს კისლოვოდსკის სატვირთო სადგურზე და თან წაეღოთ ბარგი არაუმეტეს 20 კილოგრამისა, ყველაზე უფრო ძვირფასი ნივთები და ორი დღის საგზალი, ვითომდაც, უკრაინის ნაკლებ დასახლებულ პუნქტებში გასაგზავნად. ნაბრძანები იყო ბინების გასაღები ჩაებარებინათ № 12 კომენდატურაში და განსაკუთრებულ ბარათში აღეწერნათ ბინების მისამართი.

1942 წლის 9 სექტემბერს კისლოვოდსკის სატვირთო სადგურზე შეიკრიბა 2.000-მდე ებრაელი,—მათ შორის იყვნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები; ყველანი შეჰყარეს ეშელონში, რომელიც შესდგებოდა 18 ღია პლატფორმისა და ორი დახურული ვაგონისაგან, და გაძლიერებული ბადრაგით გაგზავნეს მინერალნიე ვოდის სადგურში.

ქალაქ მინერალნიე ვოდის მცხოვრებლების: ფ. მ. ლისიცინის, ნ. ვ. მიხეევის, ე. ე. ბელოუსოვას, ა. ნ. როზანოვის და სხვების ჩვენებათა საფუძველზე, რომლებიც მნახველნი იყვნენ ფაშისტთა ბოროტმოქმედებებისა, აგრეთვე მინერალნიე ვოდის საორთოქლმავლო დეპოს მემანქანეებისა—ა. მ. ბაკლოვის და ა. ვ. საპუნოვის ჩვენებათა საფუძველზე, რომლებიც მოჰყვებოდნენ სადგურ კისლოვოდსკიდან ეშელონს ებრაელ მცხოვრებლებისად 18 პლატფორმის და ორი ვაგონის შემადგენლობით, დადგენილია, რომ 1942 წლის 9 სექტემბერს სადგურ კისლოვოდსკიდან ეშელონით მოსული 2.000 საბჭოთა მოქალაქე ეროვნებით ებრაელი, ქალაქ კისლოვოდსკის კომენდანტ პოლის, ქალაქ კისლოვოდსკის გესტაპოს უფროს ველბენის, მისი თანაშემწის ვებერისა და ქალაქ მინერალნიე ვოდის კომენდანტის მაიორ ბარტის ბრძანებით დახვრეტილ იქნა ტანჯსაწინააღმდეგო თხრილში მაუდის ქარხნის პირდაპირ, ორნახევარ კილომეტრზე ქ. მინერალნიე ვოდიდან. აქვე დახვრეტილ იქნა ათასობით ებრაელ. მათი ოჯახებიანად, რომელნიც ესენტუკიდან და პიატიგორსკიდან მიიყვანეს.

1943 წლის 10 ივლისს საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრის აკადემიკოს ალექსი ტოლსტოის მიერ გათხრილი იქნა ეს ტანჯსაწინააღმდეგო თხრილი 551 მეტრ სიგრძეზე. კომისიამ დაადგინა, რომ ამ ტანჯსაწინააღმდეგო თხრილში არის სულ მცირე 6.300 მხეცურად დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქე.

დადგენილია, რომ საბჭოთა მოქალაქეების წამებისა და დახვრეტის ორგანიზატორები ქ. მინერალნიე ვოდში იყვნენ ქალაქის გერმანელი სამხედრო კომენდანტი მაიორი ბარტი და საველე ჟანდარმერიის უფროსი შტაბ-ფელდფებელი როიტჰარდი, რომელთა ბრძანებით დახვრეტილი არიან რკინიგზელები, მუშები და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენი.

იმავე ტანჯსაწინააღმდეგო თხრილის გათხრისას გამოცნობილ იქნა მინერალნიე ვოდის მოქალაქეების—კონდუქტორ ი. კ. ტაბურჩენკოს, მისი ვაჟის მასწავლებელ ვ. ი. ტაბურჩენკოს, პ. პ. კუქსის, საორთოქლმავლო დეპოს ხარატ მ. ი. ზაზაროვის, დეპოს მემანქანე ი. ა. სოვეტოვისა და სხვების გვამები.

საგანგებო სახელმწიფო კომისია პასუხისმგებლად ქალაქებში: სტავროპოლში, გეორგიევსკში, კისლოვოდსკში, ესენტუკსა და მინერალნიე ვოდში, კურორტ ტებერდასა და სტავროპოლის მხარის, სხვა რაიონებში ჩადენილ ბოროტმოქმედებათათვის—მრავალი ათასი უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრების მასობრივი დახოცვისათვის, დაჭრილ და ავადმყოფ სამხედრო ტყვეთა დახოცვისა და წამებისათვის, საბჭოთა მოქალაქეების გესტაპოს დილეგებში არაადამიანური წამებისათვის, გაძარცვისა და გერმანიის მონობაში წაყვანისათვის, რაც მოწყობილი იყო ჰიტლერული სამხედრო სარდლობის პირდაპირი ბრძანებით, სთვლის: პირველი სატანკო არმიის სარდალს კავალერიის გენერალ მაკენზენს, სატანკო არმიის ზურგის უფროსს გენერალ შტუბენრაუხს, სატანკო არმიის ბრიგადა-ბანდის უფროს ზონდერ—ფიურერ დოქტორ ვიტეს, საველე ჟანდარმერიის უფროსს პოლკოვნიკ მონცს, აგრეთვე აღნიშნულ მხეცურ დანაშაულობათა უშუალო შემსრულებლებს:

1) ქალ. სტავროპოლში—გესტაპოს უფროსს მაიორს, „სდ-12“ კომანდის უფროსს ობერ-ლეიტენანტ კაცენდორფს, „სდ-12“ უფროსს ობერ-ლეიტენანტ კლაიბერს, მის მოადგილეს—გესტაპოს ოფიცერ კნორს, გესტაპოს ობერ-ლეიტენანტ ვენცელს, გესტაპოს საპატიმროს უფროსს ობერ-ლეიტენანტ შმიდტს, მის მოადგილეს უნტერფელ ენგელ ნიკოლაის, გესტაპოს ოფიცრებს—შულცს, ფრაიმანს, შტეინფს, ბაიერს, გესტაპოს გამომძიებელ ჰორინტროპს, „სს“ ჯარების ობერ-ლეიტენანტ ფერნინკს, ოფიცრებს—„სდ-12“ ეკიმპს რაუშსა და შრედერს, დოქტორ შულცს, შეფს სასოფლო მეურნეობის საკითხებში კლაინს, „სდ-12“ კომანდის ობერ-ფელდფებელ გერინგს, „სდ-12“ კომანდის ფელდფებელ შმიტცს, „სდ-12“ კომანდის ეფრეიტორ ჩიჩ ადოლფს და გეფტ (სადუმლო საველე პოლიციის უფროსს) ლეიტენანტ ნოის.

2) ქალ. კისლოვოდსკში — კომენდანტებს პოლს და მაიორ ლიდტკეს, გესტაპოს უფროსს, ველბენს, გესტაპოს უფროსის თანაშემწე ვებერს, გესტაპოს პირველ გამომძიებელს—გერინგს, მეორე გამომძიებელს—პიკეს, გესტაპოს კომენდანტის მოადგილეს — კელერს, სამეურნეო ნაწილის უფროსს ჰაუმანს, სამეურნეო ნაწილის მეორე უფროსს—ჰუშს, გერმანელთა № 31136 ლაზარეთის უფროსს, ობერ-არტც ჰელერს, უფროს ფელდფებელ რომაკაუს, ფელდფებელ რაიფს და ამავე ლაზარეთის უფროს სამედიცინო დს მინას.

3) ქალ. პიატიგორსკში—„სდ-12“ გესტაპოს უფროსს კაპიტან ვინცს, „სდ-12“ გესტაპოს უფროსის მოადგილეს ობერ-ლეიტენანტ ფიშერს, შრომის ბირჟის უფროსს ლოლკოვნიკ აპშპონს, შრომის ბირჟის მეორე უფროსს ოფიცერ ლანკეს.

4) ქალ. ესენტუკში—კომენდანტს ობერ-ლეიტენანტ ფონ ბეკს, ობერლეიტენანტ ფონ პაცაფფენს.

5) ქალ. მინერალნიე ვოდში—კომენდანტს მაიორ ბარტს, საველე ჟანდარმერიის უფროსს შტაბ-ფელდფებელ როიტჰარდს.

6) ქალ. გეორგიევსკში—გერმანელთა ლაზარეთების უფროსს შეფ-ექიმ ბარონ ფონ ჰაიმანს.

7) კურორტ ტებერდაში—ქალაქ მეოთხე-შახარის კომენდანტს—ობერ-ლეიტენანტ ოტო ვებერს.

8) ქალ. ჟელეზნოვოდსკში — კომენდანტებს კაპიტნებს ვოლფსა და კოფმანს, გესტაპოს ოფიცერ თრანკს

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

4 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას და, წინ წაიწიეს რა 6-დან 10 კილომეტრამდე, შეიჭრნენ ორიოლში, სადაც ქუჩებში აწარმოებენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან. ჩვენმა ჯარებმა ორიოლის მიმართულებით ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რკინიგზის სადგურები სტალინო კონი (6 კილომეტრზე ორიოლის ჩრდილოეთით) და სვეტლაია ძიზნი (4 კილომეტრზე ორიოლის სამხრეთით).

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლები გააჩაღეს მოწინააღმდეგისთან, წინ წაიწიეს 10 კილომეტრით და სერიოზულად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები.

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში, ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა შედეგადაც გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები.

ლენინგრადის ფრონტზე, მგას ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, საართილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა ორივე მხრიდან.

3 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 236 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 138 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას.

ორიოლის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებს განუწყვეტლივ გადმოჰყავდათ კონტრიერიშებზე ქვეითი ჯარი, რომელსაც დახმარებას უწევდნენ ტანკები, თვითმავალი ქვემეხები და ავიაცია. საბჭოთა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მას. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 32 ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ტყვეები იუწყებიან, რომ გერმანელთა 211-ე ქვეითმა დივიზიამ უკანასკნელ ბრძოლებში დაკარგა პირადი შემადგენლობის 70 პროცენტზე მეტი.

გასტეხეს რა გერმანელთა წინააღმდეგობა, საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ორიოლში, სადაც ქუჩებში აწარმოებენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან.

ორიოლის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. განსაკუთრებით გაიფორებული ბრძოლები მოხდა ერთი დასახლებული პუნქტისათვის, რომელსაც მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა. საბჭოთა მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ამ პუნქტს იცავდა, და დაიკავეს იგი. ამ ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 1.500-მდე ჰიტლერელი, 18 ტანკი, 13 საარტილერიო და ნაღმმტყორცნო ბატარეა და 120-ზე მეტი ავტომანქანა სამამრ მასალებიანად, მოწინააღმდეგეს წაართვეს 15 ტანკი, 16 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა. სხვა უბანზე 6 შენაერთმა, რომელიც სდევნის უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, მოსპო 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 10 ქვემეხი, 32 ნაღმსატყორცნი, 110 ტყვიამფრქვევი, 11.000 ყუმბარა, 2 მილიონი ვაზნა, 68 ტონა დენთი და ფეთქებადი ნივთიერებანი.

ჩვენი ავიაცია ბომბავდა მოწინააღმდეგის ჯარების კოლონებს და იერიში მიჰქონდა მათზე. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 54 თვითმფრინავი.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლები გააჩაღეს მოწინააღმდეგესთან, წინ წაიწიეს 10 კილომეტრით და სერიოზულად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები. გერმანელთა ყველა ცდა, რომ მდგომარეობა აღედგინათ, ჩაიშალა. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მიაყენეს მას. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 32 ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ტყვეები იუწყებიან, რომ გერმანელთა 211-ე ქვეითმა დივიზიამ უკანასკნელ ბრძოლებში დაკარგა პირადი შემადგენლობის 70 პროცენტზე მეტი.

გასტეხეს რა გერმანელთა წინააღმდეგობა, საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ორიოლში, სადაც ქუჩებში აწარმოებენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან.

ორიოლის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. განსაკუთრებით გაიფორებული ბრძოლები მოხდა ერთი დასახლებული პუნქტისათვის, რომელსაც მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა. საბჭოთა მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ამ პუნქტს იცავდა, და დაიკავეს იგი. ამ ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 1.500-მდე ჰიტლერელი, 18 ტანკი, 13 საარტილერიო და ნაღმმტყორცნო ბატარეა და 120-ზე მეტი ავტომანქანა სამამრ მასალებიანად, მოწინააღმდეგეს წაართვეს 15 ტანკი, 16 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა. სხვა უბანზე 6 შენაერთმა, რომელიც სდევნის უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, მოსპო 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 10 ქვემეხი, 32 ნაღმსატყორცნი, 110 ტყვიამფრქვევი, 11.000 ყუმბარა, 2 მილიონი ვაზნა, 68 ტონა დენთი და ფეთქებადი ნივთიერებანი.

ჩვენი ავიაცია ბომბავდა მოწინააღმდეგის ჯარების კოლონებს და იერიში მიჰქონდა მათზე. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 54 თვითმფრინავი.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლები გააჩაღეს მოწინააღმდეგესთან, წინ წაიწიეს 10 კილომეტრით და სერიოზულად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები. გერმანელთა ყველა ცდა, რომ მდგომარეობა აღედგინათ, ჩაიშალა. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მიუყენეს მას. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 32 ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ტყვეები იუწყებიან, რომ გერმანელთა 211-ე ქვეითმა დივიზიამ უკანასკნელ ბრძოლებში დაკარგა პირადი შემადგენლობის 70 პროცენტზე მეტი.

გასტეხეს რა გერმანელთა წინააღმდეგობა, საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ორიოლში, სადაც ქუჩებში აწარმოებენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან.

ორიოლის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. განსაკუთრებით გაიფორებული ბრძოლები მოხდა ერთი დასახლებული პუნქტისათვის, რომელსაც მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა. საბჭოთა მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ამ პუნქტს იცავდა, და დაიკავეს იგი. ამ ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 1.500-მდე ჰიტლერელი, 18 ტანკი, 13 საარტილერიო და ნაღმმტყორცნო ბატარეა და 120-ზე მეტი ავტომანქანა სამამრ მასალებიანად, მოწინააღმდეგეს წაართვეს 15 ტანკი, 16 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა. სხვა უბანზე 6 შენაერთმა, რომელიც სდევნის უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, მოსპო 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 10 ქვემეხი, 32 ნაღმსატყორცნი, 110 ტყვიამფრქვევი, 11.000 ყუმბარა, 2 მილიონი ვაზნა, 68 ტონა დენთი და ფეთქებადი ნივთიერებანი.

ჩვენი ავიაცია ბომბავდა მოწინააღმდეგის ჯარების კოლონებს და იერიში მიჰქონდა მათზე. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 54 თვითმფრინავი.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლები გააჩაღეს მოწინააღმდეგესთან, წინ წაიწიეს 10 კილომეტრით და სერიოზულად გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები. გერმანელთა ყველა ცდა, რომ მდგომარეობა აღედგინათ, ჩაიშალა. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მიუყენეს მას. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 32 ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ტყვეები იუწყებიან, რომ გერმანელთა 211-ე ქვეითმა დივიზიამ უკანასკნელ ბრძოლებში დაკარგა პირადი შემადგენლობის 70 პროცენტზე მეტი.

გასტეხეს რა გერმანელთა წინააღმდეგობა, საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ორიოლში, სადაც ქუჩებში აწარმოებენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან.

ორიოლის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. განსაკუთრებით გაიფორებული ბრძოლები მოხდა ერთი დასახლებული პუნქტისათვის, რომელსაც მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა. საბჭოთა მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ამ პუნქტს იცავდა, და დაიკავეს იგი. ამ ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 1.500-მდე ჰიტლერელი, 18 ტანკი, 13 საარტილერიო და ნაღმმტყორცნო ბატარეა და 120-ზე მეტი ავტომანქანა სამამრ მასალებიანად, მოწინააღმდეგეს წაართვეს 15 ტანკი, 16 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა. სხვა უბანზე 6 შენაერთმა, რომელიც სდევნის უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, მოსპო 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 10 ქვემეხი, 32 ნაღმსატყორცნი, 110 ტყვიამფრქვევი, 11.000 ყუმბარა, 2 მილიონი ვაზნა, 68 ტონა დენთი და ფეთქებადი ნივთიერებანი.

ჩვენი ავიაცია ბომბავდა მოწინააღმდეგის ჯარების კოლონებს და იერიში მიჰქონდა მათზე. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 54 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ცეცხლითი ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენმა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა მოსპეს გერმანელთა 2 ტანკი. რამდენიმე ქვემეხი და ააფეთქეს საომარ მასალათა საწყობი. დანგრეულია 30 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 6 სათვალთვალო პუნქტი. ჩვენი ქვეგანაყოფების აქტიური მოქმედების შედეგად მოსპობილია მტრის 700-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

იზიუმის სამხრეთით 5 ნაწილის ქვეგანაყოფები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელებისაგან გასწმინდეს ჭალა და ხელთ იგდეს ძლიერ გამაგრებული პოზიციები. მოწინააღმდეგემ, სცადა რა შეეჩერებინა საბჭოთა ქვეგანაყოფების წინსვლა, რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს მოგერიებისას ჩვენმა მებრძოლებმა გაულიტეს რამდენიმე ჰიტლერელი, დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 4 ტანკი და ხელთ იგდეს ტყვეები.

* * *

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მზეერავთა ჯგუფი კაპიტან ორლოვის მეთაურობით ღამე შეიჭრა გერმანელთა სანგრებში და მოსპო ჰიტლერელთა დიდი ჯგუფი. მზეერავებმა ხელთ იგდეს დავლა და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. 6 ქვეგანაყოფის სნაიპერებმა შვიდი დღის განმავლობაში გაულიტეს მტრის 66 ჯარისკაცი. სნაიპერმა ამხ. სოლოვემ მოსპო 12 გერმანელი, ამხ. ვილგურინმა—8, ამხ. კონდრატენკომ და სკოპცოვმა მოჰკლეს 7 ჰიტლერელი თითოეულმა.

* * *

მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმის მზეერავებმა შეატყეს, რომ გერმანელები ამზადებდნენ პარტიზანულ ბაზაზე თავდასხმას. რაზმის სარდლობამ გადასწყვიტა დაესწრო მტრისათვის. 27 ივლისს, გათენებისას, პარტიზანებმა უეცრად მიიტანეს იერიში გერმანელთა სადამსჯელო რაზმზე, გაულიტეს 68 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს მრავალი საზიდარი სამარ მასალებიანად. გომელის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა 24 ივლისს ლიანდაგიდან გადაადგეს გერმანელთა სამზედრო ეშელონი. დაიმტვრა ორთქლმავალი და 30 ვაგონი.

* * *

გერმანელთა 262-ე ქვეითი დივიზიის ცალკეული ბატალიონის მე-3 თვითმფრინავი ესკადრონის ტყვე მეთაურმა, ობერ-ლეიტენანტმა ვალტერ ბეკერმა განაცხადა: „გაზაფხულიდანვე ჩვენში ბევრს ლაპარაკობდნენ მომავალ ზაფხულის შეტევაზე. ბევრი ოცნებობდა მეორე ლაშქრობაზე მოსკოვის წინააღმდეგ. რუსებმა ყველა ეს გეგმა ჩაშალეს. ჩვენ იძულებული ვართ უკან დავიხიოთ და დავთმოთ უდიდესი მსხვერპლის ფასად ნაყიდი ტერიტორია. გერმანიის არმიის ზაფხულის დამარცხებებმა სასოწარკვეთილებაში ჩაგდეს ჯარისკაცები და ოფიცრები. ტერიტორიისა და, განსაკუთრებით, ინიციატივის დაკარგვასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ჰკარგავს გამარჯვების რწმენას. ბევრი ოფიცერი ჰიტლერის სთვლის აღმოსავლეთში გერმანიის სამხედრო დამარცხებათა მთავარ დამშაველად. ოფიცრები გადაკვრით გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ჰიტლერით იმისათვის, რომ მან თვითონ დანიშნა თავისი თავი არმიის მთავარსარდლად. ისინი ამბობენ, რომ ერთი ეფრეიტორი გერმანიას გაცილებით უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე ყველა მისი მიცვალებული და ცოცხალი გენერალი და მარშალი ერთად აღებული. ორიოლთან მომხდარმა უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ დამარწმუნეს, რომ გერმანია ომს წააგებს. ფიზიზლად განვსაჯე ის და ტყვედ დავნებდი რუსებს“.

ლეპეშეგი

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს თემთა პალატაში მოულოდნელად გაიმართა კამათი სამხედრო მდგომარეობის პოლიტიკური მხარის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა, ილაპარაკა რა მუსოლინიზე, სთქვა: „მე, ისევე როგორც წინამორბედი მთავრობები, ვცდილობდი თავი დამეჩუმებინა იმაში, რომ მუსო